საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 251-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეიქმნას მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციები შემდეგ საერთაშორისო საპარლამენტთაშორისო ორგანიზაციებთან:

– ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა: ძირითადი შემადგენლობა – 5 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 5 ადგილი;

– ევროკავშირი (საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი): ძირითადი შემადგენლობა – 5 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 5 ადგილი; *(29.05.2015 N 3505)*

– შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა (PABSEC): ძირითადი შემადგენლობა – 5 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 5 ადგილი;

– ნატოს საპარლამენტო ასამბლეა: ძირითადი შემადგენლობა – 4 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 4 ადგილი;

– ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა: ძირითადი შემადგენლობა – 5 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 5 ადგილი;

– საპარლამენტთაშორისო კავშირი (IPU): ძირითადი შემადგენლობა – 5 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 5 ადგილი;

– დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია (სუამი): ძირითადი შემადგენლობა – 5 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 5 ადგილი;

– ფრანგულენოვანი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეა: ძირითადი შემადგენლობა – 3 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 3 ადგილი;

– სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივა: ძირითადი შემადგენლობა – 10 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 3 ადგილი;

– ევრონესტის (აღმოსავლეთის პარტნიორობის) საპარლამენტო ასამბლეა: ძირითადი შემადგენლობა – 10 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 5 ადგილი;

– მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა: ძირითადი შემადგენლობა – 5 ადგილი, სათადარიგო შემადგენლობა – 5 ადგილი.

2. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა განსაზღვროს მუდმივმოქმედ საპარლამენტო დელეგაციებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *დავით უსუფაშვილი*

ქუთაისი,
2012 წლის 7 ნოემბერი.
№40– Iს